ხელშეკრულება N29

ქ.ხაშური 8 მაისი 2017 წელი

ერთი მხრივ **ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, მეორე მხრივ **არასამთავრობო ორგანიზაცია „გზა სიკეთისაკენ“ წარმოდგენილი დამფუძნებელის ნინო დავითულიანის სახით** (შემდგომში მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
   1.1 ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის საქველმოქმედო კონცერტის 17 ბილეთის შეძენა CPV:79900000

2. ხელშეკრულების ღირებულება
   2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 170.00 (ას სამოცდაათი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
   3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში
   3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა საფუძველზე, გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში

4 მიღება-ჩაბარების წესი
   4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე.
   4.3 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი
   5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ხაშური
   5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 10 მაისამდე;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:
   6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება
   6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
   6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებიტ გათვალისწინებულ ვადებში.
   6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
   7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 16 ივნისამდე;

შემსყიდველი ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება	მიმწოდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია „გზა სიკეთისაკენ“
ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი	
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070	საიდენტიფიკაციო კოდი 4001962200
ბანკის კოდიTRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE 05 BG0000000149956900
გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე	დამფუძნებელი ნინო დავითულიანი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ ხაშური 10 მაისი 2017 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე, მეორე მხრივ არასამთავრობო ორგანიზაცია „გზა სიკეთისაკენ“ წარმოდგენილი დამფუძნებელის ნინო დავითულიანის სახით წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2017 წლის 8 მაისს დადებული ხელშეკრულება N29ის საფუძველზე, ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანებამ შეისყიდა 30 ცალი ბილეთი, ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის, გორში საქველმოქმედო კონცერტზე დასასწრებად.

17 ცალი ბილეთის ღირებულება შეადგენს 170 (ას სამოცდაათი) ლარს.

აქტს ხელს ვაწერთ და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გაგვაჩნია:

_____	_____
გიორგი ბოლოკაძე	ნინო დავითულიანი